ცნობის ფურცელი

№ 2207 | კვირა, 13 ივლისი | 1896—1903 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2207

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში განჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. კამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ვაჩნაძის გიმნაზიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-135 №-რი.

3 მან. და 50 კ. ღირს ყოველდღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 ივლისიდან წლის დამლევამდე

მღვდელი ისიდორე პერტაია გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას საყვარელის მეუღლისა თვისისა

მარიამ დავითის ასულის პერტაიასას.

მიცვალებულს გამოასვენებენ (სოლომონოვის ქუჩიდან, სახლი № 20) კვირას, 13 ივლისს, დილის 10 საათზე სამების ეკკლესიაში და იქიდან წირვის შემდეგ კუკიის სასაფლაოზე. (ნ. 1—1)

სიკვდილამდე
დაზღვევა
უბედურებისაგან
რკინის გზებითა და წყლით მოგზაურობის დროს

შეიძლება „როსია"-ს საზოგადოების გამგეობაში (პეტერბურგი, მორსკაია, 37), განყოფილებაში ქ. ტფილისში (სერგიევის ქუჩა, № 6) და საზოგადოების ყველა აგენტებთან იმპერიის ქალაქებში.

(6—117—3)

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

კახურის ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუხა მაქაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგაის ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება ბოთლი 25 კაპ. დაწყებული.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზე ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლში თვითონვე მიუტანს.

ღვინო იყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროს. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.
დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 60.
დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210.
კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიეჩისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (0—19)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და შაბათობით, 11—12 საათამდე.

ქრ. მ. ხობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.
(წდ.) ტელეფონი № 274.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ახლად გახსნილი მაღაზია
ხატებისა და ყოველივე საეკლესიო სამკაულისა
კ. დ. კობახიძისა.

ბლომათ მიღებულია ხატები, ხატების ჩარჩოები და ყოველივე ეკკლესიური სამკაული. მიიღება შეკვეთა. ქალაქ გარეთ დაკვეთილი იგზავნება დაუყოვნებლივ.

მაღაზია იმყოფება შუა ბაზარში არმიანსკი და სოლომონოვის ქუჩის კუთხეში, სახლი თუმაევისა. (8—5.—4).

დოქტორი მედიცინისა
ვ. ი. ინაშვილი
მიიღებს შინაგან, ნერვებით და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს. დილით 10—12 საათ., საღ. 5—7 საათ.
რეუტოვის ქუჩა, № 6.
(10—124—3)

რადგან კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
1 ივლისიდან 10 აგვისტომდე სოფლად იქმნება, ავადმყოფების მიღება ტფილისში ამ დრომდე შეწყვეტილი იქმნება. (5—4)

გუშინ, 12 ივლისს, ჩვენგან დამოუკიდებელის მიზეზისა გამო „ცნ. ფურცელი" ვერ გამოვიდა.

საზღვარ-გარედ

გერმანია. მუშების წარმომადგენელთა მნიშვნელობაზე სხვებმაც გამოსთქვეს აზრი. გერმანიაში საუკეთესო ფაბრიკის პატრონ ფრეზეს წინადაც საინტერესო წიგნი გამოუცია ამ საგნის თაობაზე და ეხლაც შემდეგი მიუწერია ერთის გაზეთისათვის:

„ჩემს ფაბრიკაში, ბერლინში, ყველა სადავო საქმეს მე და ჩემის მუშების წარმომადგენლები ვარჩევთ. ყველა მუშები იკრიბებიან და 11 წარმომადგენელს ირჩევენ, 4-ს კიდევ მე ვნიშნავ ფაბრიკის ზედამხედველ პირთაგან. არჩეული წარმომადგენლები საჭიროების და-გვარად იკრიბებიან, ყოველ ოთხ თვეს, ანუ უფრო ხშირად; მაგრამ წარმომადგენლებს თავიანთში სამი კაცი ჰყავთ არჩეული და ესენი მუდამ მოქმედებენ და ყოველ საქმეს თვალ-ყურს ადევნებენ. თუ რამე დავა ასტყდა, მეც კომიტეტის ან კომისიის სხდომაზე მიბარებენ, იქ ყველა თავისას იტყვის ხოლმე და ამნაირად საქმე ირკვევა. აქამდე ჯერ შემთხვევა არა ყოფილა, რომ კომისიის დადგენილებას არ დავსთანხმებოდე, ან მუშებს ჩემთვის სასამართლოში ეჩივლოთ. ისეთ ძნელ გადასაწყვეტ საგნებსაც კი, როგორიცაა ნარდის სამუშაოს ფასის დადება, 8 საათის სამუშაოს შემოღება და 1 მაისის უქმობა, მორიგებით ვათავებდით. 28 წელიწადია ფაბრიკის პატრონი ვარ და მუშებთან არაფერი უსიამოვნება არ მომსვლია."

„რუსკია ვედომოსტ"-ის ბერლინელი კორესპონდენტი იწერება ამის თაობაზე:

„ფრეზეს აზრით, მუშებს უსათუოდ უნდა ჰყვანდეთ თავიანთ წარმომადგენლები, თორემ უამისოდ ნიადაგ აყალ-მაყალი და უსიამოვნება იქმნება მუშებსა და საქმის პატრონებ შუა. მაგრამ ამ საქმეს კარგი მოწყობა უნდა. მუშებს და საქმის პატრონებს თანასწორი უფლება უნდა ჰქონდეთ, საქმის პატრონი წარმომადგენელთა არჩევანში არ უნდა ერეოდეს, მუშები საკუთარის ნებითა და სურვილით უნდა არჩევდნენ დელეგატებს; საქმის პატრონი რომ არჩევანში გაერიოს და მუშებს ძალა დაატანოს, ესა და ეს კაცი აირჩიეთო, ეს არას ევვანება, მარტო მუშებს გადაიკიდებს ამით. კომისიის სხდომა უსათუოდ საჯარო უნდა იყოს. ყოველ მუშას, როგორც საზოგადოებას რეიხსტაგის გალერეაში, ნება უნდა ჰქონდეს სხდომას დაესწროს და დარწმუნდეს, რომ იმისი წარმომადგენელნი მართლა მუშების ინტერესებს იცავენ. კომისიას უფლება უნდა მიეცეს, ახალი საფაბრიკო წესები შემოიღოს და ძველები გააუქმოს; მუშების ყველა დაწესებულებასაც ესენი უნდა განაგებდნენ. ფრეზე უმატებს: ზოგი მეფაბრიკე ამისთანა წესებს იმ დროს აწესებს, როდესაც მუშები ისე გადაეკიდებიან, რომ მორიგება შეუძლებელი ჰხდება. თქმა არ უნდა, საქმის პატრონისათვის პირველად ძნელი ასატანი იქმნება ასეთი წესები, რადგან ყოველი საქმის პატრონი თავის თავს განუსაზღვრელ ბატონად სთვლის. მაგრამ ვინც კი ამ წესებს დროზე შემოიღებს, ისე, მაგალითად, როგორც მე, ძლიერ მადლიერი იქმნება და ბედს დაჰლოცავს. მარტო ერთ კაცს არ შეუძლიან იმოდენა პასუხისგება იკისროს, რამოდენაც, მაგალითად, ფაბრიკის პატრონს აწევს, მუშების წარმომადგენლები კი საქმის პატრონს პასუხის-გებისაგან ანთავისუფლებენ; ახალი წესები ძალმომრეობას მოსპობს და მუშებსა და საქმის პატრონებს დააახლოვებს. საქმის პატრონი მუშების საჭიროებას შეიგნებს და გონივრად მოექცევა მშრომელ ხალხს, ისე როგორც ადამიანი ადამიანს უნდა ექცეოდეს. მაშინ მუშები საქმის პატრონის მტრები კი არა, თანამშრომელნი და კეთილის მდომნი იქმნებიან."

ინგლისი. 2 ივლისს ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა ჰიქს-ბიჩმა დეპუტატთა პალატაში ჰკითხა პირველ მინისტრ ბალფურს, თანახმა ხართ, რომ პალატამ ჩემბერლენის პროექტი განიხილოსო? ბალფურმა უპასუხა: ჩემის აზრით, ეგ განხილვა ვერაფერ სარგებლობას ვერ მოიტანსო. ოპოზიციის მეთაურმა კემპბელ-ბანერმანმა გაახსენა ბალფურს: ადრე თითონ ჩემბერლენმა მოითხოვა, პალატამ ჩემის პროექტის თაობაზე თავისი აზრი გამოსთქვასო. ბალფურმა მიუგო: საფინანსო რეფორმაზე პალატას ბევრჯელ ჰქონია კამათი და თუ ოპოზიციის მეთაურს კიდევ ჰსურს ამ საგანზე ლაპარაკის ჩამოგდება, შეუძლიან პალატას გაკიცხვა გამოაცხადებინოს მთავრობისათვისო. ბალფურის ქცევამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ლიბერალებსა და თავისუფალ ვაჭრობის მომხრე უნიონისტებში. უნიონისტებმა გადასწყვიტეს, პირველისავე მარჯვე შემთხვევით ვისარგებლოთ და პალატაში საფინანსო რეფორმაზე კამათი დავიწყოთო. პარლამენტის წრეებში ჰფიქრობენ, მთავრობის უარი უფრო დიდ განხეთქილებას ჩამოაგდებს სამინისტროს პარტიის ორ ნაწილ შუა.

ავსტრო-უნგრეთი. ავსტრიის საიმპერიო ფინანსთა მინისტრი და ბოსნია-ჰერცოგოვინას მთავარ-მართებელი კალაი გარდაიცვალა. კალაი ჩამომავლობით მადიარი (უნგრი) იყო. კარგი სწავლა ჰქონდა მიღებული, მთელი ახლო აღმოსავლეთი შემოიარა და აღმოსავლეთის ბევრი ენა შეისწავლა: სერბიული, ახალი ბერძნული, ოსმალური და სხვა. ბევრი წიგნი დასწერა სერბიის საქმეებსა, რუსეთის პოლიტიკაზე და სხვ. ავსტრო-უნგრეთის მთავრობამ ადრევე მიაქცია ყურადღება კალაის. 30 წლის ჯერ არ იყო, რომ ბელგრადში მთავარ კონსულად დანიშნეს. მე-70 წლებში პარლამენტის წევრად გახდა. 1878 წელს კალაი აღმოსავლეთ რუმელიაში საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნეს; ერთის წლის შემდეგ ავსტრო-უნგრეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში დიდი თანამდებობა მისცეს. 1882 წელს ავსტრო-უნგრეთმა ბოსნია-ჰერცოგოვინა შემოიერთა და ახალ პროვინციების მმართველად კალაი დანიშნეს. ყველას დიდი იმედი ჰქონდა კალაისა და კალაიმაც გაამართლა ეს იმედი. სლავიანების მტერი მთავარ-მართებელი სულ იმის ცდაში იყო, რომ ბოსნიაკები სერბებს არ შეერთებოდნენ. ბოსნია-ჰერცოგოვინას მცხოვრებლები სხვა-და-სხვა სარწმუნოებისანი არიან: მართლმადიდებლები, მაჰმადიანები და სხვა და ყველას სძულთ ერთმანერთი. კალაი მარჯვედ სარგებლობდა ამ სიძულვილით, დიდ ყურადღებას აქცევდა მაჰმადინებს და ყველაფერში იმათი მხარე ეჭირა. ბოსნიელი მაჰმადიანი სერბები კალაის მმართველობის დროს უფრო კარგად ცხოვრებდნენ, სინამ ოსმალეთის ხელში. კალაი მაჰმადიანებს ქრისტიანების წინააღმდეგ აქეზებდა და ყველაფერში ძველ ავსტრიის წესს მისდევდა. „სხვები გადაჰკიდე, შენ კი იბატონეო", ყველას შეერთებას ხელს უშლიდა და ნამეტნავად სერბების გაძლიერებას აბრკოლებდა. მაგრამ კალაი პირველში იქცეოდა ასე. მერე მაჰმადიანებსაც დევნა დაუწყო. მაჰმადიანები წამ და უწუმ იმპერატორთან უჩიოდნენ „მეფის მოადგილე" კალაის. ამ საჩივრიდან არა გამოდიოდა-რა, რადგან იმპერატორს ყოველთვის ცხადად უმტკიცებდნენ, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინაში სასტიკი მმართველობაა საჭირო, მით უმეტეს, რომ ბალკანეთში მუდმივი შფოთი და არეულობააო. ამ მუდმივ არეულობაში კალაი თან-და-თან აგერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანელბდა და ამდიარებდა ბოსნია-ჰერცოგვინას და იქაურ ხალხში ქათოლიკეთა სარწმუნოებას ავრცელებდა. ქალაქები სულ ვიღაც საეჭვო აფერისტებით გაივსო, ადგილ-მამულს ავსტრიიდანა და გერმანიიდან გადმოსული გერმანელები და ჰუნგრები ყიდულობდნენ, ადგილობრივი ხალხი კი ყოველნაირად იძარცვებოდა და ილუპებოდა.

გარეგანის მხრით ბოსნია-ჰერცოგოვინა ნამდვილ კეთილ-დღეობასა და მზე-ბედნიერებაში იყო. შედარებით, მეზობლად მდებარე მაკედონიასთან მაინც ხომ აყვავებული იყო ბოსნია-ჰერცოგოვინა. მართლაც კალაიმ რკინის გზები და მშვენიერად ნაკეთები გზატკეცილები გაიყვანა და დიდ-ძალი სასწავლებელი დააარსა. ყველა ეს ძლიერ აკვირვებდა მოგზაურებს, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგანი მხარე იყო: ნამდვილად ბოსნიის გლეხი ხალხი კალაის მმართველობის დროს დაილუპა და მიწასთან გასწორდა. ბოლოს დროს ხალხმა თითონაც დაინახა, რომ კალაი მეტად დიდის ხარჯებით ბოსნია-ჰერცოგოვინას სძარცვავდა და ჰღუპავდა. ხალხი დიდ უკმაყოფილებასაც აცხადებდა, მაგრამ ვერას ხდებოდა. კალაი თავის მოხსენებაში ისე მშვენივრად ასწერდა ხოლმე ამ პროვინციების ყოფას, რომ გაზეთები, თუ დეპუტატები ყველანი ჩუმდებოდნენ. კალაის ბოსნიაში მოგზაური ჟურნალისტები და დეპუტატები მუქთად დაჰყავნდა ყველგან: უმასპინძლდებოდა, არაფერს აკლებდა და ამით ყველას პირში ბურთსა სჩრიდა. ჟურნალისტებიც ბოლოს დროს კალაის ქების მეტს არარასა სწერდნენ. ასე იმეფა კალაიმ სრული 21 წელიწადი.

ახალი ამბავი

◆ 11 ივლისს ბაქო-ბალაჯარის მხრიდან ტფილისს დაბრუნდა **კავკასიის მთავარმართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი.** სადგურზე დახვდნენ: თანაშემწე გენერალ-ადიუტანტი ა. ა. ფრეზე, გუბერნატორი, ქალაქის მოურავი და სხვანი.

◆ ბაქოს გაზეთებში, რომელიც გუშინ მივიღეთ, დაბეჭდილია: „სამ დღეს, 8, 9 და 10 ივლისს, გაზეთები არ გამოდიოდა. 4 ივლისს შეაჩერეს საქონლის მატარებლების მიმოსვლა. 5 ივლისს ბაქოში ჩამოვიდა რკინის გზათა უფროსი ინჟ. ივანოვსკი და სხვა უფროსი ინჟინრები. მოსვლისათანავე ბ-ნმა ივანოვსკიმ გზათა სამინისტროს აცნობა ყოველივე. საქონლის სადგურზე დიდძალი საქონელია შეჭუჩებული. საქონლის მატარებლების მიმოსვლა განახლდა 9 ივლისიდან. ამ დღეს მხოლოდ რამდენიმე მატარებელი გავიდა. ზოგიერთი ორთქლ-მავალი და ვაგონი ძალიან დაზიანდა. რკინის გზის უფროსმა დაზიანებული ორთქლ-მავლები შესაკეთებლად კავკავის გზის სახელოსნოებში გაჰგზავნა. ამ ოთხ-ხუთ დღეში დიდი მუშაობა ჰქონდათ ბაქოს სადგურის ტელეგრაფისტებს, რადგან აუარებელი დეპეშა იგზავნებოდა. რკინის გზის უფროსს მოხსენება გაუგზავნია ამ ტელეგრაფისტთა დაჯილდოვების შესახებ. ჯილდოდ თვიურ ჯამაგირის ნახევარზე ნაკლები არ მიეცემათ. მატარებლების მიმოსვლასთან ერთად ცხენის რკინის გზის ვაგონების მიმოსვლაც შეჩერდა. ვაგონების მიმოსვლა 10 ივლისს განახლდა. ამ დღეს თითო ვაგონს ორ-ორი ჯარის-კაცი ახლდა. ბევრი კონდუქტორი სამუშაოდ არ გამოვიდა, იმათ მაგიერ ბილეთებს არიგებდნენ კუჩერები, ხოლო უკანასკნელთა მაგიერ ვინც ქუჩაში შეჰხვდათ, ისინი მიიწვიეს. კონტროლიორებად ტრამვაის კანტორის გამგენი იყვნენ. ტრამვაი ხუთ დღეს არ მუშაობდა; ამ ხნის განმავლობაში ისარგებლეს მეეტლეებმა და სამგზავრო ფასი ძალზე ასწიეს. რამდენისამე ხნით ელექტრონის განათებაც შეაჩერეს. ბაქოში ახალი ჯარი ჩამოვიდა. ოთხი დღე მუშათა ბირჟაზე დღიური მუშები არ შეკრებილან. სამუშაო აუარებელი იყო, მაგრამ მუშებმა გამოაცხადეს, ვისვენებთო“.

◆ 11 ივლისს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მატარებელთა მოძრაობის უფროსმა, ინჟინერმა კარპოვმა აცნობა კავკასიის გზის გამგეობას, რომ მატარებელთა მიმოსვლა აჯიქაბულ-ბაქოსა და ბაქო-სურახანს შორის დაიწყოო. ამ დეპეშის ძალით, რკინის გზის გამგეობა აცხადებს, რომ 11 ივლისიდან იგი კვლავ პასუხის მგებელია დროზე საქონლისა და ამანათების ჩაბარებისთვის.

◆ **სასახლის ქუჩისა და ქარვასლის მაღაზიების** პატრონთ ხელი მოაწერეს იმ ქაღალდს, რომლის ძალითაც მაღაზიები ზამთარ-ზაფხულ დილის რვა საათზე უნდა გაიღონ და საღამოს რვა საათზე დაჰკეტონ. ღია მარტო საკანდიტეროები, ხილისა და სურსათის მაღაზიები იქნება.

◆ **ბათუმის ოლქის** ყველა თვალსაჩინო ადგილას, როგორც „ჩერ. ვესტ.“ გადმოგვცემს, გაკრულია თურმე შემდეგი განცხადება:

„რუს. იმპერ. კან. კრ. მე-XIV ტომის მე-218 მუხლის ძალით ყველას აეკრძალება: 1) იარაღის ტარება; ნება აქვთ მხოლოდ იმათ, ვისაც კანონი უფლებას აძლევს; 2) ისეთის ჯოხების ტარება, რომლებშიაც დამალულია ხანჯალი, დანა ან სხვა იარაღი; 3) თოფის, რევოლვერის ან სხვა იარაღის სროლა სახლებსა, ეზოებსა, ქუჩებსა და მოედნებზე. რადგან ოლქში გახშირდა მკვლელობა და დაჭრა-დაშავება, ბათუმის ოლქის უფროსი ატყობინებს ოლქის (ოკრუგის) მცხოვრებთ, რომ იარაღის ტარება სასტიკად აკრძალულია. დამნაშავეებს იარაღს ჩამოართმევენ და პასუხის გებაში მისცემენ“.

◆ „პრავ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია **უწმ. სინოდის განკარგულება.** უწმ. სინოდმა ბრძანება გასცა, რომ მღვდლებმა, საზოგადოდ საეკკლესიო კრებულებმა, მეტი ყურადღება მიაქციონ იმ წიგნებს, სადაც დაბადების, მონათვლისა, ქორწინებისა და სიკვდილის ცნობები იწერება ხოლმე. ხშირად დაუდევრობისა თუ სხვა მიზეზების გამო ცნობები შეცდომით შეაქვთ, ან სულ არ შეაქვთ და ამ რიგად ბევრს საქმე საწვალებლად უხდება. უწმ. სინოდის განკარგულებით, ასეთ შეცდომებისათვის კრებული პასუხის გებაში იქმნება მიცემული.

◆ 1899 წელს **კავკასიელი ჯარის-კაცნი** პირველად გაჰგზავნეს კავკასიის გარედ, სხვა ოლქებში. ეხლა ამათ სამსახურის ვადა უთავდებათ და შინა ბრუნდებიან. თერგის ოლქში განკარგულება მოუხდენიათ, გამოჰკითხონ ახლად დაბრუნებულთ სამსახურის შესახებ. უნდათ გაიგონ, როგორ იმოქმედა ჩრდილოეთ კავკასიელებზე უცხო და შორს ქვეყანაში სამსახურმა. როგორც ვუწყით, ყველაზე მეტად ჩრდილოეთ ქვეყნებში ცხოვრება ამიერ-კავკასიელებს უძნელდებათ. ბევრი ჯარის-კაცი ვერ უძლებს სუსხს ჰავას და ესალმება წუთი-სოფელს. კარგი იქმნება, ახლად დაბრუნებულ ამიერ-კავკასიელ ჯარის კაცებსაც გამოჰკითხონ რუსეთში სამსახურის შესახებ.

◆ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ განიხილა ანგარიში **კავკასიის გამოფენის** სალიკვიდაციო კომისიისა. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, შემოსავალი გამოფენისა ყოფილა 30,247 მან. 35 კაპ. მოვალეებს მიეცათ ამ ფულიდან 16,634 მან., კასაში დარჩა ნაღდად 13,613 მან. 17 კაპ., მოვალეებს ერგებათ კიდევ 19,929 მან. პატრონებს ბევრი ნივთები არ წაუღიათ და ვერც გაეგზავნათ ადრესების უცოდინრობის გამო. საბჭომ დაადგინა, ის ექსპონატები, რომელიც, ადრესის უცოდინრობის გამო, პატრონებს ვერ გაეგზავნება, გადაეცეს ტფილისის საუქციონო ზალას გასასყიდად. გაყიდვის შემდეგ ფულს შეუნახვენ და მოთხოვნილებისათანავე ნივთების პატრონებს მისცემენ.

◆ 12 ივლისს შვიდმა ვაჭარმა, რომელნიც ტფილისში ჭურჭელსა ჰყიდიან, განცხადება შეიტანეს ქალაქის გამგეობაში. სწერენ, ნება მოგვეცით **კვირა-უქმეობით დუქნები მთელი დღე გვქონდეს გაღებული,** რადგან ხშირად ჭურჭელი სჭირდებათ იმათ, ვისაც მიცვალებული ჰყავთ და ჩვენ თუ დუქნები დავკეტეთ, ჭირისუფალნი ძალიან შეწუხდებიანო. აი, რა გულ-მტკივნეულობას იჩენენ ჭურჭლის ვაჭარნი!

◆ ფოსტათა და ტელეგრაფთა უფროსს განკარგულება მოუხდენია, რომ უფროსნი ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში **ზრდილობიანად და კარგად ექცეოდნენ ხელ-ქვეითებს.** განკარგულებაში ისიც არის მოხსენებული, რომ ერთის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი ხელ-ქვეითთან ლაპარაკის დროს ბრაზობდა, ცხარობდა, ჰყვიროდა და ხელებს იქნევდა, რაც უფროსს არ შეჰშვენისო.

◆ 11 ივლისს ბ-ნ ნ. ა. სულთან-კრიმგირეის თავმჯდომარეობით მოხდა **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** კრება ინჟინერ მაევსკის მოხსენების განსახილველად. მოხსენება შეეხება მუღანლოს მინდვრის მოსარწყავად არხის გაყვანას. როგორც მოხსენებაშია ნათქვამი, წყალთა გამგეობის მინდობილებით, ტეხნიკოსებს შეუდგენიათ პროექტი არხის გაყვანისა. ამ პროექტით უნდა გადაიდოს 5,011,000 მანეთი. 160,000 დესეტინა მიწის მოსარწყავად. მაევსკის აზრით, საჭირო არ არის ამ ადგილის მოსარწყავად ამდენ ფულის გადადება. მაევსკის საჭიროდ მიაჩნია, მუღანლოს მინდორი თან-და-თან მოირწყოს მოთხოვნილების მიხედვით. ამ ჟამად, იმის აზრით, საჭიროა 35,000 მანეთის გადადება სარწყავ არხის გამოსაყვანად. კარგა ხანს კამათის შემდეგ, საზოგადო კრებამ დაადგინა, მუღანლოს მინდვრის მოსარწყავად საუკეთესოდ იცნოს ბ-ნ მაევსკის მიერ შემუშავებული სისტემა. კრებამ ამასთან დაადგინა აღძრას შუამდგომლობა მუღანლოში არხების მეთვალ-ყურის დანიშვნის შესახებ. დასასრულ კრებამ დაადგინა, სთხოვოს სამინისტროს ნება მისცეს სამეურნეო საზოგადოებას, რომ კავკასიის წყალთა გამგეობაში იყოლიოს წარმომადგენელნი ისეთის საკითხების განხილვის დროს, როგორიც, მაგალითად, არხების გაყვანა, მინდვრების მორწყვა და სხვაა.

ფელეტონი

პატარა ამბები

(საკვირაო ფელეტონი)

სტუდენტების წერილების გამო: საზოგადო ვითარება.—ნოქართა კითხვა.—ჭიათურის ინტელიგენცია.—ერთის სულიერ მამის საჩივარი.

ჩემმა პატარა შენიშვნამ სტუდენტების შესახებ რამდენიმე წერილი გამოიწვია. *) იმედია, სხვებიც ამოიღებენ ხმას: ვთქვათ ყველამ, ვისაც რამე გვაქვს გულზე, ამით სარგებლობის მეტს არაფერს არ მოვუტანთ საქმეს. სტუდენტობას არ შეეშინდება, რასაკვირველია, რომ საჯაროდ ვილაპარაკოთ იმაზედ.

მე არ მინდა აქ, პასუხი გავცე უკვე დაბეჭდილს წერილებს, პასუხის უფლებას დავიტოვებ შემდეგისათვის, მხოლოდ შევეხები ერთს საზოგადო საგანს, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს სტუდენტთა საკითხთან.

ძველი საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ ადამიანი, როგორც ზნეობრივი არსება, მხოლოდ უფლებაა. რამდენად მეტი აქვს ადამიანს უფლება, იმდენად ღრმაა მისი ბუნება, ადამიანის ღირსება—მხოლოდ მისი უფლებაა, ადამიანი უუფლებოდ მარტო ფიზიკური არსებაა, ცხოველი. მაგრამ რა უფრო საჭიროა უფლების მოსაპოებლად? ხასიათი, ენერგია, მოქმედების ძალა. ცხოვრების ბრძოლაში ვერ გაიმარჯვებს ჰამლეტი, თუმცა იგი გენიოსის ნიჭის და ცოდნის პატრონია. ცხოვრებაში ბრძოლაა საჭირო და ერთმანეთს იმდენად ცოდნა და ცოდნა კი არ ებრძვის, რამდენად ხასიათი ხასიათს. საუკეთესო ადამიანი ის იქნება, ვინც თანაბრად არის აღჭურვილი ცოდნითაც და ხასიათის სიმტკიცითაც. მაგრამ სადაც არ მოიპოვება ასეთი თანასწორობა, უმჯობესია ადამიანს ცოდნა აკლდეს, ვიდრე ენერგია. მცირე ცოდნის, მაგრამ მაგარის ხასიათის, კაცი უთუოდ რასმე გააკეთებს, უხასიათო მცოდნე კი სრულიად ვერაფერს, რადგან მისთვის ცოდნა მკვდარი, უსარგებლო თანხაა. ნიჭიერი და ცოდნის ადამიანი, რომელიც მოკლებულია ხასიათს, ჰგავს იმ მანქანას, რომელსაც საუცხოვო მექანიზმი აქვს მაგრამ არა აქვს ორთქლი, რომელიც მას ამოძრავებს.

უენერგიო ადამიანი არამც თუ ვერ აკეთებს, რაც შეგნებული აქვს და სასურველად მიაჩნია, ხშირად მასში ხდება ისეთი პსიხიური პროცესი, რომ შეგნებული შეუგნებლად გარდაექცევა, სასურველი არა სასურველად: შეიგნო, მაგრამ ნება არ მიჰყვა სამოქმედოთ, ხედავს, რომ მოვლენა ცუდია, იგი უნდა მოისპოს, მაგრამ სუსტი ნება არ იჩენს აქტიურობას, არ არის ფიქრის საქმედ გარდამქმნელი ენერგია. ასეთის ადამიანის შეგნება და ნება ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და ებრძვიან. მხოლოდ ეს ბრძოლა დიდხანს ვერ გასტანს. ათ შემთხვევაში ცხრაჯერ შეუძლებელია შეგნებისათვის, გამოიყვანოს ნება პასიურ მდგომარეობიდან, პირიქით, თვითონ ნება გარდაიყვანს თავისკენ შეგნებას, შეაცვლევინებს შეხედულობას და ის, რაც წინად სასურველი იყო, მაგრამ „ვერ შესაძლებელი“, ახლა გარდაიქნება არ სასურველად და არ შესაძლებლად. უხასიათო კაცი არამც თუ არაფერს აკეთებს, ჰკარგავს თავის ცოდნასაც, ნამეტურ თუ იგი ცხოვრებასთან ახლო დგას და ცხოვრება მოქმედობს მაზე. ყოველს ჩვენგანს შეუძლია გაიხსენოს თავის ცხოვრებიდან ასეთი მაგალითი: აუცილებლივ საჭიროდ დაგვინახავს რაიმე საქმე, მაგრამ რა კი გაუბედაობის, ნების სისუსტისა, სიზარმაცისა გამო ვერაფერი ვერ გაგვიხორციელებია, მერე ჩვენვე დაგვირწმუნებია ჩვენი თავი: ალბად, ეს საქმე ცუდია, არ ვარგა, უსარგებლოა, საზარალოცა და სხ...

თავის უფლების დამცველი ის არის, ვინც თავიდანვე მიჩვეულია მოქმედებას, ენერგიის და ნების ვარჯიშობას; ვინც თავიდანვე არ ატარებს დროს მარტო ფიქრებში, მარტო სიტყვებით არა ცხოვრობს, ვისაც შესისხლხორცებული აქვს, რომ ყველა საგანს აქვს თავისი მიზეზი-საშუალება, რომ მის გასახორციელებლად საჭიროა ეს საშუალება; ვინც თავიდანვე შეეჩვია საკუთარის ძალებით მოქმედებას, ვისშიაც აღზრდილია ის შეხედულობა, რომ მისით, თავისთავად არაფერი კეთდება ამ დედამიწაზედ, არაფერი კეთდება მარტო მოსურვებით და ნატვრითაც.

ამ მხრივ რომ გადავავლოთ თვალი ჩვენ განათლებულთა ცხოვრების პირობებს, მეტად სამწუხარო სურათს დავინახავთ. დღევანდელი სკოლა არ აღზრდის მოსწავლეში დამოუკიდებელს ხასიათს, შრომის და ინიციატივის სიყვარულს, სურვილს თავის ძალით გზის გაკაფვისას. სკოლიდან გამოდევნილია ისეთი საგნები, რომელთაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ, და რასაც ასწავლიან, ასწავლიან მექანიკურად: ავითარებენ მარტო მეხსიერებას, თავს უვსებენ ყმაწვილს ურიცხვის ფაქტებით, აზეპირებინებენ ათას უმნიშვნელო რასმე და ყველაზედ უწინარეს სთხოვენ უთუო დამორჩილებას, ნების სისუსტეს, უხასიათობას.

უნივერსიტეტი არ ასწორებს საშუალო სასწავლებლის ნაკლულევანებას. უნივერსიტეტს ჰგონია, რომ ახალგაზრდა სტუდენტი უკვე მზად არის როგორც ცოდნის, ისე თვითმოქმედების მხრივ ლექციებისათვის. უმრავლეს შემთხვევაში პროფესორი უკითხავს სტუდენტებს მშრალს ლექციას, რომლის გარეშე მას არავითარი კავშირი არა აქვს სტუდენტთან. ბევრს ახალს სტუდენტს ექნება წრფელი სურვილი ცოდნის შეძენისა, მაგრამ პირობები ხელს არ უწყობენ, და ერთი-და სურვილი რჩება: მალე მიიღოს დიპლომი. ბევრს ექნება წმინდა მისწრაფებანი საზოგადო სამსახურისათვის, მაგრამ გარშემო არსებული წრე არ ამაგრებს მასში ამ მისწრაფებას, არ ზრდის, არ ავითარებს. სტუდენტის წადილს ხმას არავინ აძლევს და იგი ჰკვდება. რჩეულთ თუ შერჩებათ მარტო წმინდა მისწრაფებანი...

უხასიათო, სულიერ ძალას მოკლებული, ბევრის (თუ სრულიად არავრის) არ მცოდნე ჩვენი დიპლომიანი, ცხოვრებაში რომ დაბრუნდება, რასაკვირველია, დაადგება უკვე გაკაფულს გზას, სადაც ნაკლები დამაბრკოლებელი მიზეზი შეხვდება, იმ გზას, რომლით უვლია და დადის უმეტესობა, რაც არ მოითხოვს მისგან არც დიდს შრომას, არც დიდს ცოდნას, არც შეწუხებას, დაფაცურებას, მოძრაობას, ე. ი. შევა მოხელედ. აქ იწყება სრული მისი გამოთაყვანება... მისი მუშაობა სასტიკად განსაზღვრულ კალაპოტში სწარმოებს: რასაც-კი მისი გონება შეიმუშავებს და წარმოშობს, უთუოდ უკვე შემუშავებულ და დამტკიცებულ ფორმაში უნდა გადაღუღდეს. მისი ადამიანებთან ურთიერთობა გამოიხატება მხოლოდ როგორც отношеніе და рапортъ-ი, აზრი არსებობს მისთვის, როგორც ამა თუ იმ ქაღალდის ფორმა, ადამიანი—როგორც ამა თუ იმ თანამდებობის პირი...

ესაა საზოგადო „სურათი განათლებულ კაცების“ უმრავლესობის ცხოვრებისა. მართალია, არიან ქართველები—თავისუფალ პროფესიისანი, ადვოკატები, „სიმართლის დამცველნი“, მაგრამ ესენიც სიტყვის კაცები არიან და

---

*) ორი წერილი გუშინდელ №-ში უნდა დაბეჭდილიყო.

◆ რკინის გზის **მოსამსახურეთა შორის შესდგა წრე**, რომელსაც აზრადა აქვს გონიერ გასართობების გამართვა როგორც მოსამსახურეთა, ისე იმათ ოჯახებისა და ნათესავებისათვის. გასართობები ორ-გვარი იქმნება: ლექციებისა და წიგნების კითხვა და სამუსიკო საღამოებისა და **წარმოდგენების** გამართვა.

◆ მთავრობას განუზრახავს, მეტი ყურადღება მიაქციოს გზა-ტკეცილებისა, ვიწრო ლიანდაგიან და ეგრედ წოდებულ **მისასვლელ რკინის გზების გაყვანას**. ამ საქმისათვის პეტერბურგში შესდგება განსაკუთრებული საბჭო, ხოლო გუბერნიებში—საგზაო კომისიები, გუბერნატორების თავმჯდომარეობით. საბჭოს გზების გასაყვანად ფული გადაეცემა ხაზინიდან.

◆ 10 ივლისს ქუჩების მომკირწყლელმა კომისიამ განიხილა მოხსენება ბ-ნ ზაგოსკინისა **ქუჩების ასფალტით დაგების** შესახებ. კომისიამ დაადგინა, ნება დართოს ზაგოსკინს საცდელად სასახლის ქუჩაზე, შტაბის წინ, მოკირწყლოს პატარა ადგილი. ვადად ასფალტის სიმტკიცის გამოსაცდელად 1 წელიწადი დანიშნა კომისიამ. კომისიამ განიხილა აგრეთვე თხოვნები ი. ზ. ხიზანაშვილისა, ჩიჯავაძისა, ანდრიასოვისა და მალკევიჩისა, რომელნიც თხოულობდნენ, იჯარით მიეცეთ მოსაკირწლავ მასალის დამზადება. კომისიამ ვერც ერთი თხოვნა ხელსაყრელად და სასარგებლოდ ვერ იცნო. ამიტომ დაადგინა, უარი გამოუცხადოს ყველას, გარდა ხიზანაშვილისა, რომელსაც ნება მიეცა მასალა დაამზადოს პოლიციის მე-10 ნაწილში. სხვა ნაწილებში მასალის დამზადება მიენდო კომისიის თავმჯდომარეს ენფიანჯიანცს.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტმა სავნებლად არა სცნო აბანოებისათვის სოლოლაკის გორის ქვეშ **ტუნელის გათხრა**. ეხლა ტუნელის გათხრას აფერხებს ის გარემოება, რომ ქალაქს მიწათ-მოქმედების სამინისტროსაგან არა აქვს აღებული ნებართვა ტუნელის გაყვანისა საბოტანიკო ბაღის იმ ნაწილში, რომელიც სამინისტროს ეკუთვნის. გუშინ ქალაქის მოურავმა მიწათ-მოქმედების სამინისტროს გაუგზავნა მოხსენება ტუნელის შესახებ და სთხოვა, ნება დართოს კონცესიონერებს გაიყვანონ ტუნელი საბოტანიკო ბაღის იმ ნაწილშიაც, რომელიც სამინისტროს ეკუთვნის.

◆ ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო კანცელარიამ შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ სამინისტრომ ნება დართო მიიღოს სახაზინო პალატიდან ქალაქის **მესამე სესხის** ახალ ნიმუშის ობლიგაციები. ამ ობლიგაციების მიღებამდე გამგეობამ უნდა წარუდგინოს სახაზინო პალატას ცნობები ძველ ობლიგაციების შესახებ: რამდენი დაიკარგა, რა ფერისა იყო და სხვა.

◆ 11 ივლისს ტფილისის გამგეობასა და ხორცის დუქნების გამგე კომისიას მოლაპარაკება ჰქონდათ **ვერის მოედანზე სავაჭრო ბაზრის მოწყობის** შესახებ. კრებამ დაადგინა ნება მისცეს მსურველთ იჯარით აიღონ მოედანზე ადგილები პატარა დუქნების მოსაწყობად და სანოვავის გასასყიდად. კრებამ მიანდო ენფიანჯიანცს შეიმუშავოს გეგმა მოედნის დასაყოფად, ხოლო თავ. ჩერქეზიშვილს—გამოარკვიოს, ქალაქს უფლება აქვს თუ არა იჯარით გასცეს მოედანზე მიწები ბაზრისათვის. მოედნის ნახევარი ყორღანოვმა აჩუქა ქალაქს იმ პირობით, რომ იქ იარმუკობა იმართებოდეს.

◆ ტყუილი გამოდგარა ხმები „**პეტ. გაზ.**“-სა და თავ. უხტომსკის შესახებ. როგორც „ნოვ. ობ.“ გადმოგვცემს, ბ-ნ **გედიჩკის** ცდას უნაყოფოდ ჩაუვლია და ხსენებულ გაზეთის რედაქტორად ისევ თავადი უხტომსკი რჩება.

◆ ტფილის-ბაქოს შუა **მატარებლების მიმოსვლის შეჩერებამ** ტფილისი უნავთოდ დასტოვა. ტფილისის ნავთის საწყობებში ბევრ ნავთს არ ინახავდნენ, ამიტომ საწყობის პატრონებმა ფასს პირველ დღესვე აუწიეს. გირვანქა ნავთის ფასმა 5 კაპიკამდე აიწია.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს **რუსების დასახლება მუღანის მინდორშიაც განუზრახავს**. ამისთვის ჰფიქრობენ ამ მინდორში სარწყავ არხების გაყვანას. სამინისტრომ რწმუნებულს ბ-ნ მედვედევს დაავალა ნამდვილ ცნობების შეკრება ამ ველის შესახებ. ამ ველისა ჯავათის მაზრაში ითვლება 143,430 დესეტინა, ჯებრაილისაში—37,000 დეს. და შუშისაში—66,000 დეს. სულ 246,430 დესეტინა.

◆ ტფილისის მეხუთე ნაწილის **ბოქაული ზაზულევიჩი** ორის თვით სამსახურიდან დაითხოვეს. იმის თანამდებობის ასრულება მიენდო ბოქაულის თანაშემწეს გურგენიძეს.

◆ გუშინ, 12 ივლისს, სამრევლო-საეკკლესიო სკოლების მასწავლებელთა **საზაფხულო კურსებზე** მოხდა გამოცდა ქართულ გალობაში.

◆ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაავალა თავის წევრს ა. ა. ქალანთარს, შეადგინოს მოხსენება იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა 25 წლის განმავლობაში **მერძეობა-მეყველეობის** სასარგებლოდ კავკასიაში.

◆ 10 ივლისს ინჟენერმა ზიმინმა, ტფილისის ქალაქის მოურავმა და სხვებმა დაათვალიერეს ავჭალაში **წყლის მილის მოწყობილებანი**. ბ-ნმა ზიმინმა მოიწონა მილის სადგური და აგრეთვე მტკვრის წყალი. ინჟენერის აზრით, საჭიროა ფილტრები გაკეთდეს.

◆ 1902 წელს **კავკასიის რკინის გზის შემოსავალი** სულ 32,273,939 მანეთი. წმინდა შემოსავალი ყოფილა 12,316,750 მან.

◆ კავკასიას უნდა ეწვივნენ **ამერიკელი მოგზაურნი** ცნობილ მეცნიერის პრისკის მეთაურობით. 6 ივლისს ეს მოგზაურნი მოსკოვს მივიდნენ.

◆ 15 ივლისს დედათა საეპარქიო სასწავლებლის დარბაზში **მასწავლებელნი** მეორე სალიტერატურო საღამოს გამართვას აპირებენ.

◆ საერო განათლების სამინისტროს კავკასიის სამოსწავლო უწყებისაგან მოუთხოვნია ცნობები იმ სკოლების შესახებ, რომელიც წინად **სომეხ-გრიგორიანთა ხელში იყო**. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, მთავრობამ სკოლებთან ერთად სასკოლო ქონებაც ჩამოართვა სამღვდელოებას. სამინისტროს განუზრახავს დაჭეშმარიტებით გამოარკვიოს რაოდენობა ამ ქონებისა.

◆ **ფუნიკულერის გასამართავად** ახლად შემდგარმა საზოგადოებამ ტფილისის ქალაქის გამგეობას უკვე გადასცა ბე—49,000 მანეთი. საზოგადოება მალე მუშაობასაც შეუდგება.

◆ იმ მოიჯარადრემ, რომელსაც ტფილისის ქუჩების განათება აქვს აღებული, განუმარტა ქალაქის გამგეობას, რადგან ამ ჟამად ქალაქში ნავთი ძვირია, გთხოვთ ფუთს ნავთზე 1 მან. 2 კაპ. ნაცვლად 1 მან. 21 კაპ. მიანგარიშოთო.

ასეთივე განცხადება წარუდგინა ქალაქის გამგეობას იმ იჯარადარმა, რომელიც ქალაქის თვით-მართველობას ნავთს აწვდის.

—

შეცდომის გასწორება. „ცნ. ფურც.“-ს მე-2206 ნომერში მოთავსებულია წერილი „მადარიის შესახებ“. ამ წერილში შეცდომა შეგვეპარა. ნათქვამია: დაჭერილი კიდე უნდა ჩაიდოს მიწის დუღაშით. უნდა იყოს: მიწის დუღაში.

რუსეთის ქრონიკა

◆ ზოგიერთ სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა აღძრა საერო განათლების სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ ორ ახალ ენის შესწავლა სავალდებულო გაჰხადონ გიმნაზიის მე-4 კლასის იმ მოსწავლეებისათვის, რომელნიც მეორე წელიწადს დარჩნენ და წინად მხოლოდ ერთ ენას სწავლობდნენ. სამინისტრომ არ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა.

◆ კიევის უნივერსიტეტში წელს ებრაელების რიცხვი, როგორც წინად, განსაზღვრული იქნება. მიიღებენ შემსვლელთა რიცხვის მხოლოდ $10^{0}/_{0}$-ს.

◆ ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ მერმისს სრულიად რუსეთის წერა-კითხვის საზოგადოების წარმომადგენელთა კრება მოხდება პეტერბურგს. უკვე შეუდგნენ პროგრამისა და წესების შემუშავებას. კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს შემდეგი საგნები: სახალხო კითხვებისა, საუბრებისა და წარმოდგენების გამართვა; საკვირაო საღამოს სკოლებისა და კურსების დაარსება; სახალხო ხოროებისა და ორკესტრების მოწყობა; იაფფასიან წიგნაკების გავრცელება ხალხში და წიგნების საწყობების გამართვა. კრება 6—8 დღეს გასტანს. კრების მოწყობა იკისრა პეტერბურგის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ.

◆ გლეხთა შორის სატეხნიკო ცოდნის გავრცელებისათვის ზოგიერთი ერობა რუსეთში ძალიან ბევრს სცდილობს და მეცადინეობს. პეტერგოფის სამაზრო ერობამ, მაგალითად, კარგა ხანია დაარსა სასწავლო სახელოსნოები: საქსოვი, სახარაზო და სამჭედლო. სახელოსნოები ძალიან მოსწონებიათ გლეხებს და ბევრნი გულ-მოდგინედ სწავლობენ თურმე ამა თუ იმ ხელობას. ხარჯი ცოტაა. დამზადებულ საქონელს მუშტარი ბევრი ჰყავს. ზოგიერთმა სახელოსნომ კარგისა და მკვიდრის ნივთების დამზადებისთვის შინა-მრეწველობის გამოფენაზედ ჯილდოც მიიღო.

◆ დეპეშიდან უკვე იციან მკითხველებმა, რომ პოკროვის სტანიცა თითქმის სულ გადაიწვა. მარტო პური დაიწვა: ბეღლებში შენახული—1,900,000 მანეთისა, გემებში—400,000 მან. გადაიწვა 189 უზარ-მაზარი ბეღელი, 1,000,000 მანეთად ღირებული, და 11 გემი, 100,000 მან. ღირებული. ამათ გარდა გადაიწვა 300 სახლი და დუქანი, დაფასებული 420,000 მანეთად. ღარიბების ქონება 150,000 მანეთისა დაიწვა. სულ ზარალი 4 მილიონ მანეთისა იქმნება. ზოგი შენობა და ბეღელი დაზღვეული იყო. დაზღვეული ქონება დაიწვა 2,700,000 მანე-

---

სხვებსავით ნაკლებად იცავენ სიმართლეს. სწავლის სკოლა და სიცოცხლის სკოლა ისეთია ჩვენის განათლებულის პირისათვის, რომ მუდამ სჩაგრავს დამოუკიდებლობას, თვითმოქმედებას, გამბედაობას, ინიციატივას, ხასიათს. ეს არის მიზეზი ჩვენის სიბეჩავისა, სიძაბუნისა, უმოქმედობისა და უინიციატორობისა. შიში სიცოცხლისა, შიში მოქმედებისა, რისამე თქმისა, შიში ღირსების დაცვისა—საერთო სენია ყოველის „განათლებულის“ ქართველისა.

ქართველი სტუდენტობა არ არსებობს საზოგადო ცხოვრების გარეშე. მის არსებობის პირობებში არ არის განსაკუთრებული და განცალკევებული პირობები. ერთისა და იმავე თვისებისაა მის ცხოვრებაც და საზოგადო ცხოვრებაც. ქართველს სტუდენტობას უნდა ვუყუროთ, როგორც ჩვენს ნაწილს, მისი ცხოვრების პირობები შეადგენენ ნაწილს საზოგადო ცხოვრების პირობებისას.

ამიტომ, მართალია, პირადი პასუხის მგებლობისაგან ვერავის ვერ გავათავისუფლებთ, რაც უნდა უვარგისი იყოს გარეშე პირობები, ჯერ კიდევ ბევრი პირადი მოვალეობა გვრჩება ყველას; გარეშე პირობების გაზვიადებაც არ ვარგა, რადგან შეიძლება ფატალისტობამდისაც მიგვიყვანოს; მართალია, ქართველს სტუდენტობას ბევრს პირადს მოქმედებას მოვთხოვთ, მაგრამ როდესაც ჩვენის სტუდენტობის ცუდს მხარეებსა და მოვლენებზე გვაქვს ლაპარაკი, არ უნდა დავივიწყოთ საზოგადო ვითარება.

* *

არასოდეს არ ყოფილა ნოქრებზე იმდენი ყურადღება მიქცეული, რამდენიც მიქცეულია დღეს. დღეს საჭირბოროტოდ შეიქმნა ნოქრების საქმე არამც თუ დიდ ქალაქებისათვის, არამედ პატარა დაბა-ქალაქებისათვისაც. მაგალითად, სამტრედია რა არის და ისიც კი დღეს სულ ნოქრების „ბუნტობაზე“ ლაპარაკობს. ბევრის ტანჯვა-წვალების შემდეგ, როგორც იყო, სამტრედიის ნოქრებმა მოიპოვეს ხუთ-საათიანი სამუშაო დღე კვირა-უქმეებში. მაგრამ დუქნისა და მაღაზიის პატრონებმა მალე ინანეს ასეთი უფლების დათმობა და ამას წინად საგანგებო კრება მოახდინეს ადგილობრივის ბოქაულის თანადასწრებით, რომელსაც ცხარე ცრემლებით შესჩივლეს: ოჯახი შიმშილით ამოგვიწყდება, თუ კვირა-უქმობით მთელ დღეს არ ვივაჭრეთო, მხოლოდ იმდენს გულკეთილობას კი გამოვიჩენთ, რომ წირვაზე წასვლის ნებას მივცემთ ნოქრებსაო: წავიდნენ, ილოცონ ჩვენთვისაც და თავისთვისაც, ღმერთს შეევედრონ, მეტი რაღა უნდათ, ეყოფათ სრულიადაო. ვაჭრების სამწუხაროდ, ნოქრებმა არ იკმარეს მარტო წირვაზე სიარული (განსაკუთრებით ვაჭრებისათვის ლოცვა) და წირვის გარდა საკვირაო სკოლაშიაც მოინდომეს სიარული. ვაჭრებს ძლიერ არ ემათ ნოქრების ასეთი თავხედობა და „ბუნტოვჩიკების“ და „სოციალისტების“ სახელით „გალანძღეს“ საბრალოები. ჯერ-ჯერობით ეს აკმარეს, მერე ალბად უფრო რეალურ მუქარას მიჰმართვენ.

მაგრამ ნოქრები რომ ყოჩაღები არიან და მტკიცედ შეგნებული აქვთ—„ძალა ერთობაშია“,—ეს ყოვლად უეჭველია. სხვა ქალაქებივით ჩვენმა საბჭომაც არა ერთი პროექტი შეადგინა დუქნებისა და მაღაზიების დაკეტვის შესახებ კვირა-უქმე დღეობით. ბოლო დროსაც შეუდგა ტფილისის საბჭო ერთის ახალის პროექტის განხილვას, მაგრამ ვიდრე ჩვენი მამები დინჯად სჯიდნენ და ჯიჯგნიდნენ საგანს, თვითონ ნოქრებმა ძლიერ მარტივად და პრაქტიკულად გადასწყვიტეს საქმე: მოიპოვეს შედარებით დიდი თავისუფალი დრო, რადგან ყოველ დღე მაღაზიებში ვაჭრობა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ 8 საათიდან 8 საათამდე. აშკარაა, რომ ძლიერ ხან-მოკლე უნდა იქნეს ვაჭრობა კვირა დღეს.. სამაგალითოა და სასიხარულო, რომ (ვიმეორებ) ყველაფერი ეს გადაწყდა პრაქტიკულად სულ უბრალოდ, უდავიდარაბოდ, ასე მალე, და იმიტომ, რომ დაინტერესებულმა პირებმა გამოიჩინეს იშვიათი (რასაც ევროპაშიც ვერ შეხვდებით) ერთსულობა და ერთგულობა.

* *

ერთის მხრით, თუ გასაკვირველია და გაუგებარი, რომ ჩვენში ცხოვრების უნარს, მოქმედებას სრულიად არ იჩენს განათლებული კლასი, რომელსაც მეტი ცოდნაც აქვს და უფრო შეგნებულიც უნდა ჰქონდეს უვარგისი ცხოვრება, მეორეს მხრით სრულიად გასაგებია და ბუნებრივი ეს, თუ მივიღებთ მხედველობაში ზემო-ნათქვამს. ჩვენს „განათლებულს“ დაუკარგავს ცოცხალი სული, მასში დასუსტებულა ნება, არა აქვს სურვილი მხნეობისა და გამუდმებულის შრომისა. ამიტომაცაა, რომ ხანმოკლეა და უსიცოცხლო ჩვენებურ ინტელიგენციის მიერ დაწყებული საქმე.

აი ერთი მაგალითი კიდევ ამისა. ორი-სამი წლის წინად ქიათურაში საკვირაო სკოლა დაარსდა, და თუ სადმე საჭიროა საკვირაო სკოლა, ყველაზე უწინარეს საჭიროა ქიათურაში, სადაც ურიცხვს მუშა ხალხს მოუყრია თავი. ფულის მხრითაც არა გაუჭირდება-რა სკოლას, რადგან შავის ქვის მწარმოებელთა საბჭოს ადვილად შეუძლია მიაწოდოს ყოველი სასწავლო და სხვა საჭირო ნივთი, არც ერთს სკოლას არ შეუძლია უზრუნველ-ყოფილი იქმნეს ქონებრივათ ისე, როგორც ქიათურის საკვირაო სკოლას. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეთა რიცხვი ბევრია, მზადაა სახლი, წიგნები და ნივთები, ქიათურის საკვირაო სკოლა ვერ არის მოწყობილი და მხოლოდ ქიათურელ ინტელიგენციის მიზეზით, რომელიც ან მეტად უგულოდ ეკიდება სკოლას, ან სრულიად გაურბის, თითქოს სკოლა მავნებელიც კი იყოს...

ნეტავ რას აკეთებს ქიათურის „ინტელიგენცია“, რაში გამოიხატება მისი მაჯის ცემა, რა არის მისი ცხოვრების შინაარსი? ზოგს მათგანს საზოგადო მოღვაწის სახელიც კი სწყურია, ალბად!

* *

მშვენივრად ასურათებს დღევანდელს, საზოგადოებრივ სინიდისს მოკლებულს, მდგომარეობას შემდეგი ამბავი. როგორც ერთის გაზეთის („კვალი“, № 23) კორესპონდენტი გვატყობინებს, ს. დიცის მღვდელი 1456 მანეთს უჩივის თავის მრევლს მომრიგებელ-მოსამართლესთან. დიცის საზოგადოების გლეხებს უთხოვნიათ, რომ მათ სოფელში გახსნილიყო ეკკლესია; შტატის შენახვა თვითონ სოფელს უკისრნია. მაგრამ რამდენისამე წლის შემდეგ ამ ეკკლესიის მღვდლისათვის უწმ. სინოდს დაუნიშნავს 400 მან. ჯამაგირი და ეკკლესიაც შტატში ჩაურიცხავს. ამ განკარგულებით სოფელი განთავისუფლდა მღვდლის საჯამაგირო ფულების გადახდისაგან და შვიდის წლის განმავლობაში სრულიად სამართლიანად (გარდა დრამისა) არც არაფერს აძლევდა მღვდელს. აი, ამ ფულს უჩივის ეხლა მღვდელი თავის მრევლს.

„როგორის თვალით უნდა ვუყურებდეთ ასეთს მოძღვარსო?“ გვეკითხება კორესპონდენტი. რასაკვირველია, კარგის თვალით არავინ შეხედავს დიცის მოძღვარს. მხოლოდ ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ მსგავსი მოვლენა ერთი და ორი არ არის დღეს ჩვენში...

სოტკა.

თისა. აუარებელი ხალხი დარჩა ულუკმაპუროდ და უსახლ-კაროდ.

◆ ტომსკში განიზრახეს მოეხდინათ სწავლა-აღზრდის საქმის მოღვაწეთა კრება მთელის ციმბირისათვის. ადგილობრივ გუბერნატორს შუამდგომლობა არ შეუწყნარებია და ქაღალდზე დაუწერია, ასეთი კრება სასურველად არ მიმაჩნიაო.

◆ აზრადა აქვთ, შემოდგომაზე მთელს რუსეთში არტისტთა აღწერა მოახდინონ. მთავრობას განუზრახავს სათეატრო კანონმდებლობის გადათვალიერება და ცვლილების მოხდენა. ამისათვის ცნობებია საჭირო. აღწერის გარდა გამოიკვლევენ სათეატრო საქმეს რუსეთში.

პრესსა

საყურადღებო ამბავს გვატყობინებს „პეტერბურგსკია ვედომოსტი"-ს თანამშრომელი ა. ს—ნი: რიაზანის გუბერნიაში, ს. კოროვინოს ახლო მძიმედ დასჭრეს თავად-აზნაურობის ყოფილი მარშალი თავადი ლ. ნ. გაგარინი; დაუჭრიათ ჩერნიგოვის გუბერნიაში თავადი ურუსოვი.

„ეს უკანასკნელი რისთვის დასჭრეს, ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ ამ დღეებში მონაწილეობა მივიღე ერთ საუბარში, რომლის დროსაც თავად გაგარინის ნაცნობები ამბობდნენ, რომ შესაძლებელია თავადს ასეთი უბედურობა დაატყდეს თავსო... რადგან გაგარინს დაუქირავებია ორმოცი ლეკი თავის ძვირფას ტყეების დასაცველად და ეს ლეკები ხშირად იარაღს ხმარობდნენ, რასაც შედეგად მკვლელობანიც მოჰყოლიაო"...

ჩაფრები ჩვენი ცხოვრების ჩვეულებრივი მოვლენაა; მემამულეთა ინტერესების იარაღით დაცვაც ხომ ჩვეულებრივი ამბავია. გაგარინის ბედიც ეწვია ერთ ორ მემამულეს, მაგრამ ჯერ, სამწუხაროდ, არავის შეუდგენია ის მარტივი ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ ძალმომრეობა ძალმომრეობას შობს, რომ გაბოროტება მეტად ცუდი მრჩეველია...

პირიქით უმატეს კიდეც „ჩაფრებს". დასავლეთ საქართველოში, სადაც დიდი მემამულე იშვიათი მოვლენაა, ჩაფარს ხალხი თითქმის სრულებით არ იცნობდა. ეხლა კი იქაც, მაგალითად, გურიაში, გავრცელებულია...

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 ივლისი.

პეტერბურგი. „სააგენტო"-მ ცნობები მიიღო, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში შემოწმებულ იქმნა და დამტკიცდა, რომ 1-ლ ივლისს ბიბი-ეიბათში, შანთაშევისა და „ბაქოს საზოგადოების" ქარხნებში, მუშებმა მუშაობაზე ხელი აიღეს; მალე დანარჩენ ქარხნების მუშებმაც ამათ მიჰბაძეს და ერთიანად მუშაობაზე ხელი აიღეს. 4 ივლისს რკინის გზის სახელოსნოს მუშებმაც შეჰკრეს პირი ბაქოში და საქონლის მატარებლების მიმოსვლაც შესწყდა. ამ ჟამად ბაქოსა და ბალახანაში არც ერთი ქარხანა არ მუშაობს, არც ტრამვაი, არც სტამბა, არც კერძო საზოგადოებები და სახელოსნოები. ქუჩებში რამდენსამე ადგილას ცოტაოდენი უწესოებაც მოხდა, ჯარების დახმარება დასჭირდათ. საკმაო რიცხვი ჯარებისა ადგილობრივვეა.

ლონდონი. დეპუტატთა პალატის სასადილოთახში საფრანგეთის დეპუტატთა პალატის წარმომადგენელთ პატივსაცემი სადილი გაუმართეს; ბევრი სიტყვა წარმოითქვა, ყველანი იმას აღნიშნავდნენ, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შუა მეგობრობა თან-და-თან ძლიერდება და საეჭვოა, მომავალში ამ ორ სახელმწიფოს უთანხმოება რამ მოუვიდესო. ამ დღესასწაულის ამბებს დიდის გაზეთები სიხარულით აღნიშნავენ და აცხადებენ, რომ დეპუტატთა პალატის წარსულში ასეთი არა მომხდარა-რაო.

რომი. პაპის ცხედარი წმ. პეტრეს ტაძარში მიასვენეს და საკურთხევლის წინ ისე დაასვენეს, რომ იმის მოაჯირიდან შიგ ეკლესიისაკენ მიცვალებულის ფეხები გამოშვერილია. ხვალ ტაძარს გაუღებენ ხალხს ფეხების საკოცნელად.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ბალფურს შეეკითხნენ და იმანაც გამოაცხადა, რომ მე არა ვიცი-რა საფრანგეთსა და ესპანიას შუა კავშირის შესახებაო.

სტამბოლი. „ჟანნ დე კონსტანტინოპლ"-ი იუწყება, ტუნისის საზღვარ გარედ გავრცელებულა ხმები, ვითომ სულთანი ავად არისო.

ბრიუსელი. გაზეთი „პეუპლ ბელჟ" იუწყება, რომ მეფე ლეოპოლდი აგვისტოს თვეში გაშტეინს წავაო.

დუბლინი. მეფემ მრავალ ადრესების პასუხად გამოაცხადა: სიამოვნებით მოვისმინე, რომ ამ ბოლოს დროს ირლანდიის ხალხში იმედებისა და წინმსვლელობის სული აღორძინებულიაო. ჩემთვის ბედნიერება იქმნებოდა, ჩემ მეფობას სოციალურ მშვიდობიანობისა და ვაჭრობა-მრეწველობის აღყვავების ახალი ხანა რომ თან დაჰყვესო.

ვენა. „პოლიტიშე კორესპონდენც"-ში გამოცხადებულია ბოლგარიის მინისტრ-პრეზიდენტის პეტროვის ნალაპარაკევი მაკედონიის შესახებ. უთქვამს, ომის შიში სრულებით აღარ არის და მრწამს ოსმალეთი და ბოლგარია გულ-წრფელად მორიგდებიანო. უმთავრესი ღვაწლი ამ საქმეში რუსეთისა და ავსტრიას ეკუთვნისო.

ბელგრადი. საფრანგეთის ელჩმა დღეს ჩააბარა მეფეს რწმუნების ქაღალდები. მეფემ უთხრა: „თქვენ განსაკუთრებითი საფუძველი გაქვთ იმედი გქონდეთ, რომ მე გულ-კეთილობით დაგხვდებით, რადგან საფრანგეთის წარმომადგენელი ხართ, იმ საფრანგეთისა, რომელიც, განდევნის დროს მეორე სამშობლო გახდა ჩემთვის და რომელმაც თავის ჯარში მიმიღო.

„დღეს სათემო არჩევნები მოხდა; ბელგრადში რადიკალურ პარტიის კანდიდატები უსათუოდ გაიმარჯვებენ.

რომი. კარდინალ ორელიამ იმპერატორ ვილჰელმს შემდეგი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა: „მადლობელი ვარ თქვენის უდიდებულესობისა იმ სამძიმრისათვის, რომელიც თქვენ წმინდა კოლეგიას გამოუცხადეთ. კარდინალებმა კარგად იციან, რომ თქვენ უდიდებულესობას კეთილი ურთიერთობა ჰქონდა განსვენებულ მღვდელმთავართან; კარდინალები ამას იქითაც ელიან, რომ წმინდა ტახტი და გერმანიის იმპერია მეგობრულ განწყობილებაში იქნენო".

11 ივლისი

სამარა. გუბერნატორი პოკროვის სოფლიდან დაბრუნდა. გამოირკვა, რომ ცეცხლის გაჩენის მიზეზი გაუფრთხილებლობაა. ცეცხლმა ორი კაცი იმსხვერპლა. ზარალი სამი მილიონისაა. უმთავრესად დაზიანდა საზოგადოებათ, დიდ ბეღლების პატრონებს და რკინის გზის საზოგადოებას მოუვიდათ ზარალი. დაიწვა 212 სახლი, 100 სავაჭრო სადგომი, 7 საბაიე, 2 სასტუმრო, 2 სასწავლებელი, ღამის თავშესაფარი, 179 პურის ბეღელი (1,650,000 მანათისა), 11 ნავი ხორბლით დატვირთული და რამდენიმე ვაგონი. ღარიბ დაზარალებულთა დასახმარებლად კომიტეტი დაარსდა, კომიტეტს 6000 მანეთი შესწირეს; სამინისტროსაგან მიცემული 25,000 მანეთი კომიტეტს გადასცეს, რომ გაჭირვებულებს დაურიგოს.

პეკინი. პრინცმა წერილი გაუგზავნა ამერიკის ელჩს: თქვენ თხოულობთ, რომ მანჯურიის ქალაქებში უცხოელებს ვაჭრობისა და ცხოვრების ნება მიეცეთ; ჩინეთს არ შეუძლიან ამ თხოვნის ასრულება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მანჯურიის ქალაქები ნამდვილად ჩინეთის ხელში აღარაა, იქ რუსეთის ჯარი დგას, მეორე კიდევ იმიტომ, რომ ამ საქმის თაობაზე შეიძლება დიდი განხეთქილება მოუვიდეს რომელსამე სახელმწიფოსთანაო.

რომი. ვეზუვი კიდევ ცეცხლს ისვრის. ამონახეთქი პომპეიში ჩამოდის.

„ტრიბუნა" იუწყება: „საზოგადოებრივ წესიერების დასაცველად და ჰიგიენურ მოსაზრებით, პაპის გვამი მოაჯირ შიგნითაა დასვენებული იმნაირად, რომ პაპის ფეხზე მთხვევა არავის შეეძლოს.

ლონდონი. ლორდ-მერმა თავის მეუღლით სამედიატორო სასამართლოს მომხრე „საფრანგეთის პარლამენტის წევრთა ჯგუფი მიიღო. ლორდ-მერმა გაახსენა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შუა მეგობრული ურთიერთობაა.

11 ივლისი.

პეტერბურგი. „სააგენტომ" ბაქოდან ცნობა მიიღო. ეს ცნობა პოლიციის დეპარტამენტშიაც შემოწმებულია, რომ მუშები თან-და-თან მუშაობას იწყებენო. ტელეფონი, წყლის მანქანა და ტრამვაი მოქმედებენ, საქონლის მატარებლებმა სიარული დაიწყეს. მუშები დინჯად იქცევიან.

მეზენი. ბოგუორსკის სოფელში საკვირველი, ჯერ უნახავი სეტყვა მოვიდა. სეტყვის წინ ძლიერი გრგვინვა იყო. სეტყვა ჯერ ცერცვის სიმსხო მოდიოდა, მერე კაკლის ოდენა და ბოლოს უზარმაზარი ყინულის ნაჭრებს ისროდა წონით 35 დან 80 მისხლამდე. ცხვარსა და სხვა წვრილ-ფეხ საქონელს იქვე ჰხოცდა, მსხვილ-ფეხ საქონელს და კაცებს ძლიერ აშავებდა. სახლებში ყველა შუშები დაამსხვრია. ზოგგან სახლის ბანებიც ჩაამტვრია. ყანები ხუთის ვერსტის მანძილზე გაანადგურა.

ლონდონი. დეპუტატთა პალატაში კრანბორნმა გამოაცხადა, ავღანისტანის თაობაზე რუსეთის მთავრობასთან მიწერ-მოწერა გვქონდა, მაგრამ ამ ჟამად არ შეგვიძლიან ამ მიწერ-მოწერის შინაარსი პალატას გაცნობოთ.—ოფიციალურ წრეებს კარგად ვერ გაუგიათ პრინც-ცინის წერილი იმის შესახებ, რომ მანჯურიაში უცხოელებს ვაჭრობის ნებას ვერ მისცემს ჩინეთი. თუ ჩინეთის მთავრობის აზრი სწორედაა გადმოცემული ამ წერილში, მაშინ მანჯურიის საქმეც, იმედია, სავსებით გამოირკვევაო.

სოფია. ოფიციალურ წრეებსა და ოსმალეთის კომისარიატში იმ აზრისანი არიან, რომ ამ ჟამად მშვიდობიანობაა დამყარებული, თუმცა აჯანყების მიზეზი ჯერ მოსპობილი არაა. ხმა გავრცელდა, ვითომც სტამბოლში მოლაპარაკება იყოს გამართული იმის თაობაზე, რომ უცხოეთის კონსულებს ნება მიეცეთ კონტროლი გაუწიონ რეფორმების შესრულებას მაკედონიაშიო. ამ ხმამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე, თუმცა კი თითონ ეს ხმა არა მართლდება.—გადაწყვეტილია, რომ იყიდონ და განაახლონ ის სახლი გორნა სტუდენში, სადაც იმის დროს განმათავისუფლებელი-ხელმწიფე ცხოვრობდა. ამასვე უპირობენ იმ სახლსაც პორადიმში, სადაც რუმინიის მეფე ცხოვრობდა —ეგზარხმა პორტას კიდევ მისწერა, სამღვდელოებისა და ხალხის დევნა სრულიად მოსპეთო; ეს აუცილებლად საჭიროა მაკედონიის დასამშვიდებლად და რეფორმების მოსახდენადაო. დიდმა ვეზირმა დაარწმუნა ეგზარხი, რომ შესაფერისი განკარგულება მოახდინა კიდეცაო და გამოუცხადა, რომ რეფორმების შემოღებაც ხელ-ახლად დაიწყებაო. ამ ცნობამ მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა ამბობენ, ოსმალეთის მთავრობა საკმაოდ მხნედ არ იქცევა და საჭიროა უფრო ჩქარა საქმითაც დაამტკიცოს თავის კეთილი სურვილიო.—მთავრის შვილები ჰუნგრეთში მურანის ციხე-დარბაზში წავიდნენ. მთავარი ორის კვირის შემდეგ დაბრუნდება.

ბელგრადი. ბოლგარიის მთავარი შვილებით ვენას წავიდა.

ვენა. ოფიციოზური „კორესპონდენცია" აცხადებს: მინდობილი მაქვს გამოვაცხადო, რომ ბოლგარულ გაზ. „შტამბა"-ს ცნობა, ვითომ მთავარი ფერდინანდი საზღვარ-გარედ სამხედრო შეთქმულობას გაჰქცევოდეს, ტყუილია და განძრახვაა შეთხზულიო. 13 ივლისს მთავრის მამის გარდაცვალების წლის თავია და მთავარი ყოველ წელს ამ დროს კობურგში მიდის ხოლმე თავის მამის საფლავის პატივსაცემად.

სტამბოლი. ტრიპოლისში (სირიაში) ერთი კაცი მოკვდა ხოლერისაგან. სანიტარულმა საბჭომ ხუთის დღის კარანტინი დააწესა ტრიპოლიდან მოსულ ხალხისა და საქონლისათვის.—პორტა ატყობინებს რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩებს: კავარასთან ჯარს შეტაკება მოუვიდა აჯანყებულებთა რაზმთან და მოკლულ ბოლგარებს დინამიტის ყუმბარები და მრავალი რევოლიუციონური გამოცემა უპოვესო.

ქარაქასი. სიუდადოსა და ბოლივარში 52 საათის ბრძოლის შემდეგ აჯანყებულთა ჯარი გენერალ როლანდოს უფროსობით ტყვედ დაიჭირეს. მთავრობა აცხადებს, აჯანყება გათავდაო.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში" დაბეჭდილია: სომეხ-გრიგორიანთა საეკლესიო მამულების მართვა სახელმწიფო დაწესებულებათა ხელში უნდა გადავიდეს. სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ის მამულები, რომლების შემოსავლით სომეხ-გრიგორიანთა საეკლესიო სასწავლებლები ინახება, საერო განათლების სამინისტროს ხელში უნდა გადავიდეს.—გამოცხადდა, რომ ბაზრობის (იარმარკის) დროს ნიჟნი-ნოვგოროდსა და ოთხ მეზობლად მდებარე მაზრაში გაძლიერებულ დაცვის წესები იქნება შემოღებული.

12 ივლისი

სტრასბურგი. 11 ივლისს გაიხსნა მეორე საერთაშორისო სეისმოლოგიური კრება, რომელშიაც 20 სახელმწიფო დებულობს მონაწილეობას. თავადი ჰოჰენლოე მოვიდა აქ და გერმანიის იმპერიის სახელით მიულოცა კრებას. პროფესორმა ლევიცკიმ იურიევიდან და პროფესორმა პალაცომ რომიდან ჰოჰენლოეს მადლობა შესწირეს მილოცვისათვის.

სოფია. მთავარი შვილებით საზღვარ-გარედ წავიდა. იგი კობურგს წავა და ბავშვებს დასტოვებს პრინცესა კლემენტინასთან აბენტალში, თითონ-კი სადმე წყლებზე დარჩება კარგა ხანს. წასვლის წინად მთავარმა აუდიენცია მიიღო მინისტრ-პრეზიდენტი და სამხედრო მინისტრი.

—„დერჟავენ ვესტნიკ"-ში გამოცხადებულია ხალხთან მიმართვა, რომ თავადი რამდენსამე დღით სამთავროს საზღვარს იქით მიდის. თავადმა რეგენტობა მიანდო მინისტრთა საბჭოს, რომელმაც მეფის დაბრუნებამდე უნდა განაგოს სამთავრო.

—სერბიის გაზეთებმა ბელგრადში 11 ივლისს სენსაციონური ამბავი დაბეჭდეს, საქმეთა მდგომარეობა სოფიაში კრიტიკულია და თავადმა კაბინეტის ბეჯით მოთხოვნის თანახმად დასტოვა მხარე და აღარც დაბრუნდება, რადგან შეთქმულობააო.—ფინანსთა მინისტრმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა ბევრი მოხელეები დაითხოვეს საქციზო დეპარტამენტიდან.

ოდესა. გემ „ოლგა"-თი პირეიდან მოვიდა მეფის ძე ქრისტოფორი და საღამოს პეტერბურგს წავიდა.

ბერნი. ჰააგის სამშვიდობო კონფერენციის სურვილის თანახმად, საკავშირო საბჭომ მოიწვია სახელმწიფოები, ჟენევის კონვენციის გადასინჯველ კონფერენციაზე 1 სექტემბერს დეპუტატები გაეგზავნათ; რადგან ჯერ ყველა მონაწილე სახელმწიფოებისაგან პასუხი არ მოსულა, საკავშირო საბჭომ გადასწყვიტა კონფერენცია განუსაზღვრელ ვადით გადასდოს.

პეტერბურგი. რადგანაც კავკასიის უმთავრესი მთავრობა დარწმუნდა, არც სახელმწიფოსათვის არის სასარგებლო, არც თვით ეკლესიისათვის, რომ სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის სამღვდელოება ამ ეკლესიის ქონებას განაგებდეს. 2 ივლისის 1897 წლის და 26 მარტის 1898 წლის უმაღლეს ბრძანებების გამოცემის შემდეგ, რომლებიც შეეხებოდა სომეხ-გრიგორიანთა სასწავლებლების და მათ ქონების საერო განათლების სამინისტროსათვის გადაცემას, სომეხ-გრიგორიანთა სასულიერო მთავრობამ გაუწია წინააღმდეგობა: ზოგი ქონება, რომელიც სასწავლებლებს უნდა მოხმარებოდა, ამ სამღვდელოებამ შეირჩინა. ამნაირ მოვლენების მოსასპობად საჭიროა, სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქონების გამგებლობა მთავრობის დაწესებულებებს გარდაეცეს. ამ საქმის შესახებ მინისტრთა კომიტეტმა შეადგინა დებულება, რომელიც უმაღლესად დამტკიცდა ამ წლის 12 ივლისს. ეს დებულება არ ართმევს სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიას მფლობელობის უფლებას, არც იმ შემოსავალს, რაც კი გადარჩება სასწავლებლების შენახვის ხარჯს. რაც სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ხარჯს გადარჩება, იმ თანხიდან უნდა 5% გადაიდოს ამ ეკლესიისათვის კაპიტალის დასაარსებლად. ამ კაპიტალის დაარსებით სომხურ ეკლესიის კეთილდღეობა განვითარების გზას დაადგება. ეხლა კი, თუმც ამ სარწმუნოების დაწესებულებებს დიდი ქონება აქვთ, მაგრამ ბევრი მრევლი დიდ გაჭირვებაშია და სამღვდელოება ვერ არის უზრუნველ-ყოფილი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის 1 აგვისტოს დილის 12 საათზე საჯარო ვაჭრობა მოხდება: იჯარით გაიცემა 400 სრულ კვადრატ საჟენ შეშის ჩაბარება. ეს შეშა ერთის წლის განმავლობაში უნდა ჩაჰბარდეს ქალაქის დაწესებულებებს, ტფილისის ადგილობრივ კომანდას და ტფილისის საკომენდანტო მმართველობას.

შეშის ჩაბარების მსურველთ შეუძლიანთ პირობები გამგეობის 1 განყოფილების კანცელარიაში ყოველ დღე ნაშუადღევის 2 საათამდე გაიგონ, კვირა და უქმე დღეების გარდა. (3—6—3)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგსკის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—121)

Дозв. ценз. Тифлисъ, 12 Іюля, 1908 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)